

საკანონმდებლო მაცნე

საერთაშორისო
კომპანიის სტატუსი

სტატუსის ცვლილება
და მოგების გადასახადი

დღგ-ისგან ჩათვლის
უფლების გარეშე
გათავისუფლებული
საქონლის მიწოდება

2020 წლის 8 ოქტომბერს გამოქვეყნდა საქართველოს მთავრობის №619 დადგენილება საერთაშორისო კომპანიის სტატუსის, მისთვის ნებადართული საქმიანობისა და ცალკეული ხარჯების ნუსხის განსაზღვრის შესახებ.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 23-ე მუხლის მიხედვით საერთაშორისო კომპანიის სტატუსი არსებობს 2019 წლის ივლისიდან და მისთვის დადგენილია შემდეგი შეღავათები:

- ▶ საერთაშორისო კომპანიაში დაქირავებით მუშაობის შედეგად მიღებული შემოსავალი 5 პროცენტით იბეგრება
- ▶ საერთაშორისო კომპანიის მიერ გაცემული დივიდენდი გადახდის წყაროსთან არ იბეგრება და დივიდენდის მიმღები პირის ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება
- ▶ საერთაშორისო კომპანიის მოგების გადასახადის განაკვეთია 5 პროცენტი. საერთაშორისო კომპანიის მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა მიიღება დაბეგვრის ობიექტის მიხედვით განხორციელებული განაცემის/განწეული ხარჯის ოდენობის 0.95-ზე გაყოფით
- ▶ საერთაშორისო კომპანია გათავისუფლებულია ქონების (გარდა მიწისა) გადასახადისაგან, თუ ეს ქონება საქართველოს მთავრობის დადგენილებით ნებადართული საქმიანობის განხორციელებისათვის არის გამიზნული ან გამოიყენება.

საწარმოს, რომელსაც სურს საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მიღება, სტატუსის ფარგლებში ნებადართულ საქმიანობას უნდა ახორციელებდეს საქართველოში, რაც ნიშნავს იმას, რომ მას უნდა გააჩნდეს სათანადო ადამიანური რესურსი საჭირო კვალიფიკაციით და უზრუნველყოს შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გაწევა საქართველოში.

სარჩევი

- ▶ საერთაშორისო კომპანიის სტატუსი, მისთვის ნებადართული საქმიანობისა და ხარჯების ნუსხა
- ▶ საწარმოს სტატუსის ცვლილების შემთხვევაში მოგების გადასახადით დასაბეგრი ბაზის განსაზღვრა
- ▶ დღგ-ისგან ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული საქონლის მიწოდება/იწვითი

მთავრობის დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად, საერთაშორისო კომპანიის სტატუსი შესაძლებელია რომელიმე შემდეგ შემთხვევაში მიენიჭოს საქართველოს საწარმოს:

- ▶ აქვს ამ დადგენილებით გათვალისწინებული იმ ნებადართული საქმიანობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება, რომელზეც მიმართავს სტატუსის მინიჭების მიზნით
- ▶ არის არარეზიდენტი საწარმოს წარმომადგენელი საქართველოში, თუ ამ არარეზიდენტ საწარმოს აქვს ამ დადგენილებით გათვალისწინებული იმ ნებადართული საქმიანობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება, რომელსაც საქართველოს საწარმო ახორციელებს და რომელზეც მიმართავს სტატუსის მინიჭების მიზნით
- ▶ მისი 50%-ზე მეტი წილის მქონე პარტნიორ საწარმოებს დამოუკიდებლად (თითოეულ პარტნიორს ცალ-ცალკე) აქვთ ამ დადგენილებით გათვალისწინებული იმ ნებადართული საქმიანობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება, რომელსაც საქართველოს საწარმო ახორციელებს და რომელზეც მიმართავს სტატუსის მინიჭების მიზნით.

სტატუსის მინიჭება შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ იმ პირზე, რომელიც მოგების გადასახადის ახალი ე.წ. ესტონური მოდელით იბეგრება.

სტატუსის მისაღებად, დაინტერესებულმა პირმა დადგენილი ფორმის განცხადებით უნდა მიმართოს შემოსავლების სამსახურს. ამ განცხადების ფორმაში ჩანს, რომ მხოლოდ ის საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში განუული მომსახურება შეიძლება მიეთითოს, რომელიც გაეწევა პირებს, რომლის/რომელთა რეგისტრაციის ადგილი ან მართვის ადგილი არის საქართველოს ფარგლებს გარეთ. გემთმფლობელის მიერ ან/და მისთვის გემის ფლობასთან დაკავშირებულ კომერციულ და ტექნიკურ მომსახურებებზე ანალოგიური შეზღუდვა არ არის დაწესებული.

დადგენილების მიხედვით საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მქონე პირისთვის ნებადართულ საქმიანობებს წარმოადგენს:

- ▶ „ეკონომიკური საქმიანობის სახეების საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის“ 58.2 კოდით გათვალისწინებული შემდეგი საქმიანობები:
 - ▶▶ 58.2 – პროგრამული უზრუნველყოფის გამოცემა;
 - ▶▶ 58.21 – კომპიუტერული თამაშების გამოცემა;
 - ▶▶ 58.29 – სხვა პროგრამული უზრუნველყოფის გამოცემა;
- ▶ „ეკონომიკური საქმიანობის სახეების საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის“ 62 კოდით გათვალისწინებული შემდეგი საქმიანობები:

- ▶▶ 62.0 – კომპიუტერული დაპროგრამება, კონსულტირება და მათთან დაკავშირებული საქმიანობები;
 - ▶▶ 62.01 – კომპიუტერული დაპროგრამების საქმიანობები;
 - ▶▶ 62.02 – საკონსულტაციო საქმიანობები კომპიუტერული ტექნოლოგიების დარგში;
 - ▶▶ 62.03 – კომპიუტერული საშუალებების მართვის საქმიანობები;
 - ▶▶ 62.09 – საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომპიუტერული მომსახურების სხვა საქმიანობები;
- ▶ ციფრული პროდუქტის დამზადება ან/და მიწოდება, პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერისა და მისი განახლებული ვერსიის მიწოდების ჩათვლით;
 - ▶ ვებგვერდის დამზადება ან/და მიწოდება;
 - ▶ ვებჰოსთინგი, პროგრამული უზრუნველყოფისა და აპარატურის დისტანციური ტექნიკური მომსახურება;
 - ▶ პროგრამული უზრუნველყოფა და შესაბამისი განახლება;
 - ▶ გამოსახულებების, ტექსტებისა და ინფორმაციის მიწოდება, მონაცემთა ბაზის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით;
 - ▶ სისტემის დისტანციური ადმინისტრირება;
 - ▶ მეხსიერების გამოყოფილი მოცულობის ონლაინმიწოდება;
 - ▶ პროგრამული უზრუნველყოფაზე წვდომა ან ჩამოტვირთვა (შესყიდვების/ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამების ან ანტივირუსული პროგრამების ჩათვლით) და მისი განახლებები;

- ▶ ბანერული რეკლამების ბლოკირების პროგრამები;
- ▶ ჩამოსატვირთი დრაივერები, როგორცაა პროგრამული უზრუნველყოფები, რომლებიც კომპიუტერებს უკავშირებს პერიფერიულ მოწყობილობებს (როგორცაა, მაგ., პრინტერი);
- ▶ ვებსაიტებზე ფილტრების ავტომატური ონლაინ ინსტალაცია;
- ▶ ბრენდმაუერების (ფაიერვოლების) ავტომატური ონლაინ ინსტალაცია;

შენიშვნა: მოცემული გემოხსენებული ჩამონათვალით გათვალისწინებულ საქმიანობაში იგულისხმება მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე განეული მომსახურება.

- ▶ გემთმფლობელის მიერ ან/და მისთვის გემის ფლობასთან დაკავშირებული კომერციული და ტექნიკური მომსახურებები, მათ შორის:
 - ▶▶ გემის გაქირავება ეკვიპაჟით ან უეკვიპაჟოდ (ბერბოუტ-ჩარტერი);
 - ▶▶ რეისის დაგეგმვა ან/და ანალიზი;
 - ▶▶ გემის კაპიტანისათვის დამფრახტველთან შეთანხმებული რეისის ინსტრუქციების მიცემა;
 - ▶▶ სტალიური დროის დათვლა, დისბურსმენტის ანგარიშის ანალიზი და მართვა;
 - ▶▶ ტვირთთან დაკავშირებული მოთხოვნების, კომერციული, სამართლებრივი საკითხებისა და დაფრახტვის შესახებ წერილობითი ხელშეკრულების (ჩარტერის) დავების მართვა;



- ▶▶ ახალი გემების მშენებლობის შეკვეთების ორგანიზება ან/და მეორადი გემების ყიდვა-გაყიდვის მომსახურება;
- ▶▶ გემის ფიზიკურ მდგომარეობაზე ზედამხედველობა ან/და შესაბამისი ტექნიკური ნაწილებით ან/და საკვები პროდუქტებით გემთმომარაგება;
- ▶▶ გემთმშენებლობის, გემების დოკირებისა და რემონტის კოორდინირება, ინსპექციების ჩატარება დარგის მარეგულირებლების მოთხოვნების შესაბამისად;
- ▶▶ გემის გემების უსაფრთხო მართვისა და დაბინძურების თავიდან აცილების შესახებ (ISM) კოდექსთან, დროშისა და ნავსადგურის სახელმწიფო კონტროლის მოთხოვნებსა და საკლასიფიკაციო საზოგადოების წესებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მქონე პირს უფლება აქვს, მიიღოს სტატუსის ფარგლებში ნებადართული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის გარდა სხვა შემოსავალი, თუ კალენდარული წლის განმავლობაში ამ სახის შემოსავლები (დღგ-ის გარეშე) ჯამურად არ აღემატება საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მქონე პირის მიერ სტატუსის ფარგლებში ნებადართული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის 2%-ს.

დადგენილებით ასევე განიმარტა იმ ხარჯების სახეები, რომლის საქართველოში გაწევის შემთხვევაში საერთაშორისო კომპანიას უფლება აქვს შეამციროს მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა სსკ-ის 23-ე მუხლის მე-12 ნაწილის თანახმად:

- ▶ მის მიერ საქართველოს მოქალაქე რეზიდენტი დაქირავებული პირისათვის გადახდილი ხელფასის ხარჯი.
- ▶ საერთაშორისო კომპანიისათვის ნებადართული საქმიანობ(ებ)ის სფეროში სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და საცდელ-საკონსტრუქტორო მომსახურების ხარჯები..

დადგენილება ძალაშია 2020 წლის 8 ოქტომბრიდან.



ცვლილება ბრძანებაში

საწარმოს სტატუსის ცვლილების შემთხვევაში მოგების გადასახადით დასაბეგრი ბაზის განსაზღვრა

საქართველოს ფინანსთა მინისტრის №248 ბრძანებით 2020 წლის 6 ოქტომბერს ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში. კერძოდ 112-ე მუხლს დაემატა 35-ე, 36-ე და 37-ე ნაწილები.

35-ე ნაწილის თანახმად განისაზღვრა იმ საწარმოს ვალდებულებები, რომელმაც მიიღო საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 94-ე ნაწილით გათვალისწინებული პირის (კომერციული ბანკის, საკრედიტო კავშირის, სადამღვევო ორგანიზაციის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ან სესხის გამცემი სუბიექტის) სტატუსი და ახორციელებს 2017 წლის 1 იანვრიდან შესაბამისი სტატუსის მიღების კალენდარული წლის დასაწყისამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილებას. კერძოდ:

► იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საწარმო სტატუსის მიღების შემდგომ საანგარიშო პერიოდებში (გარდა 2020 წლის 1 ოქტომბრამდე გაცემული დივიდენდებისა)

მოახდენს 2017 წლის 1 იანვრიდან სტატუსის მიღებამდე არსებული კალენდარული წლის დასაწყისამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილებას, იგი ვალდებულია დივიდენდის განაწილების საანგარიშო თვის მიხედვით საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაცია, რომელშიც აისახება წმინდა მოგებიდან განაწილებული დივიდენდის ოდენობა.

► იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საწარმო სტატუსის მიღების კალენდარულ წელს (გარდა 2020 წლის 1 ოქტომბრამდე გაცემული დივიდენდებისა), სტატუსის მიღებამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილებას მოახდენს, იგი ვალდებულია სტატუსის მიღების საანგარიშო თვის მიხედვით საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაცია, რომელშიც აისახება წმინდა მოგებიდან განაწილებული დივიდენდის ოდენობა.

► იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულმა საწარმომ 2020 წლის 1 ოქტომბრამდე მოახდინა 2017 წლის 1 იანვრიდან შესაბამისი სტატუსის მიღების კალენდარული წლის დასაწყისამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება,

იგი ვალდებულია საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს 2020 წლის ოქტომბრის საანგარიშო პერიოდის მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაცია, რომელშიც აისახება წმინდა მოგებიდან 2020 წლის 1 ოქტომბრამდე განაწილებული დივიდენდის ოდენობა.

36-ე ნაწილის თანახმად საწარმო, რომელმაც მიიღო საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 94-ე ნაწილით გათვალისწინებული პირის (კომერციული ბანკის, საკრედიტო კავშირის, სადამღვევო ორგანიზაციის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ან სესხის გამცემი სუბიექტის) სტატუსი და წარმოეჭვა 2017 წლის 1 იანვრიდან სტატუსის მიღების კალენდარული წლის დასაწყისამდე საანგარიშო პერიოდებში საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98² მუხლით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების (რაც გულისხმობს განუვლ ხარჯებს ან სხვა გადახდებს, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან) მიხედვით გადახდილი მოგების გადასახადის თანხის ჩათვლის/დაბრუნების უფლება, უფლებამოსილია:

► სტატუსის მიღების შემდგომ მოგების გადასახადის ჩათვლის/დაბრუნების უფლების წარმოშობის შემთხვევაში, (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩათვლის/დაბრუნების უფლება საწარმოს წარმოეჭმნა 2020 წლის 1 ოქტომბრამდე),

მოგების გადასახადის თანხის ჩათვლის/დაბრუნების მიზნით, მოგების გადასახადის თანხის ჩათვლის/დაბრუნების უფლების წარმოშობის კალენდარული თვის მიხედვით საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაცია.

► სტატუსის მიღების კალენდარულ წელს, სტატუსის მიღებამდე საანგარიშო პერიოდებში მოგების გადასახადის ჩათვლის/დაბრუნების უფლების წარმოშობის შემთხვევაში, (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩათვლის/დაბრუნების უფლება წარმოექმნა საწარმოს 2020 წლის 1 ოქტომბრამდე) მოგების გადასახადის თანხის ჩათვლის/დაბრუნების მიზნით, სტატუსის მიღების საანგარიშო თვის მიხედვით საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაცია.

► მოგების გადასახადის ჩათვლის/დაბრუნების უფლების 2020 წლის 1 ოქტომბრამდე წარმოშობის შემთხვევაში, მოგების გადასახადის თანხის ჩათვლის/დაბრუნების მიზნით, საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს 2020 წლის ოქტომბრის საანგარიშო პერიოდის მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაცია.

37-ე ნაწილის თანახმად, საწარმო, რომელმაც დაკარგა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 94-ე ნაწილით გათვალისწინებული პირის (კომერციული ბანკის, საკრედიტო კავშირის, სადაზღვევო ორგანიზაციის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ან სესხის გამცემი სუბიექტის) სტატუსი და სტატუსის დაკარგვის შემდგომ საანგარიშო პერიოდ(ებ)ში ახდენს სტატუსის დაკარგვამდე იმ საანგარიშო პერიოდ(ებ)ში მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილებას, როდესაც პირი მოგების გადასახადით იბეგრებოდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 95-ე ნაწილით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტის მიხედვით (იგულისხმება სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის), უფლებამოსილია ამ პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხა ჩაითვალოს, დივიდენდის განაწილების საანგარიშო პერიოდ(ებ)ის მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს დივიდენდის სახით გასანაწილებელი მოგებიდან გამოანგარიშებული მოგების გადასახადის თანხისა.

ბრძანება ძალაშია 12 ოქტომბრიდან.

დღგ-ისგან ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული საქონლის მიწოდება/იმპორტი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით № 01-106/ნ – №241, 30 სექტემბერს ცვლილება შევიდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 15 დეკემბრის № 01-69/ნ/№451 ერთობლივ ბრძანებაში. კერძოდ, ცვლილება შევიდა 1¹ მუხლში, რომლის თანახმად იმ სამკურნალო/სამედიცინო მიზნებისათვის განკუთვნილი საქონლის ნუსხა, რომლის მიწოდება ან/და იმპორტი სსკ-ის 168-ე მუხლის მე-4 ნაწილის „კ“¹ ქვეპუნქტის მიხედვით გათავისუფლებულია დღგ-ისგან ჩათვლის უფლების გარეშე 2020 წლის 1 აპრილიდან, გათავისუფლდა 2021 წლის 1 იანვრამდე ნაცვლად 2020 წლის 1 ოქტომბრისა.


მოცემულია

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ნუსხა, რომლის მიწოდება ან/და იმპორტი გათავისუფლდა დღგ-ისგან ჩათვლის უფლების გარეშე:

- ▶ 3822 00 000 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციაში კლასიფიცირებული ტესტები;
- ▶ 3926 20 000 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციაში კლასიფიცირებული ბაზილები პლასტმასის მასალისგან;
- ▶ 3926 90 980 00 და 9004 90 900 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციებში კლასიფიცირებული სახის დამცავი ფარები;
- ▶ 4015 11 000 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციაში კლასიფიცირებული ხელთათმანები ნიტრილის ქირურგიული და 4015 19 900 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციაში კლასიფიცირებული ხელთათმანები ნიტრილის დანარჩენი;
- ▶ 6210 10 900 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციაში კლასიფიცირებული კომბინიზონები საიზოლაციო, სამედიცინო ხალათები, სამედიცინო ხალათების, ქუდებისა და ბაზილების კომპლექტები;
- ▶ 6307 90 990 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციაში კლასიფიცირებული პირბადეები და ნიღბები, ბაზილები კოტონის მასალისგან ლანჩის გარეშე და ბაზილები ტექსტილის მასალისგან;

- ▶ 6506 99 909 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციაში კლასიფიცირებული სამედიცინო ქუდები;
- ▶ 9004 90 900 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციაში კლასიფიცირებული დამცავი სათვალეები პლასტმასის;
- ▶ 9025 19 200 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციაში კლასიფიცირებული თერმომეტრები უკონტაქტო.

ბრძანება ძალაშია 2020 წლის 1 ოქტომბრიდან.





მარიამ ხუსკივაძე

Mkhuskivadze@bdo.ge

მიხეილ ენუქიძე

MEnukidze@bdo.ge

▶ ნაიკითხეთ მეტი www.bdo.ge

ეს პუბლიკაცია მომზადებულია კონკრეტულ თემაზე, მაგრამ ზოგადი დებულებების გამოყენებით, ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ ზოგადი სახელმძღვანელოს სახით გამოყენებისთვის. დაუშვებელია კონკრეტული სიტუაციების მოგვარებისათვის ამ პუბლიკაციის გამოყენება, ან მასში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობა პროფესიული კონსულტაციის გარეშე. გთხოვთ, მიმართოთ შპს „ბიდიოს“ პუბლიკაციაში მოცემული საკითხების კონკრეტული სიტუაციებისთვის განსახილველად. შპს „ბიდიო“, მისი პარტნიორები და თანამშრომლები არ იღებენ პასუხისმგებლობას ამ პუბლიკაციაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებზე.

შპს ბიდიო არის საქართველოში რეგისტრირებული შებენიერი პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შებენიერი კომპანიის – “ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის” წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.

ბიდიო არის საერთო სავაჭრო სახელი ბიდიოს ქსელისა და მისი თითოეული წევრი ფირმისათვის.